ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**№44. 44231446**

თარიღი:**24/05/2023**

„ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, გამარჯვებული პროექტების გამოვლენის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილი პროექტის დაფინანსება/ თანადაფინანსების შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების'' ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 თებერვლის №44.44230556 ბრძანებით შექმნილმა დროებითმა კომისიამ, 2023 წლის 28 მარტის N1 ოქმის და 2023 წლის 28 აპრილის N2 ოქმის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება და რეკომენდაცია მისცა ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დირექტორის, დავით ჩხობაძის მიერ წარმოდგენილ პროექტს - „ოჯახების გაძლიერება პროფესიული უნარების გაუმჯობესების გზით” დაფინანსება /თანადაფინანსებისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილების, ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის ფარგლებში'' კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 თებერვლის №44.44230556 ბრძანების საფუძველზე და „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების“ ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტი/პროქტების გამოვლენის მიზნით შექმნილი დროებითი საკონკურსო კომისიის 2023 წლის 28 მარტის N1 ოქმის და 2023 წლის 28 აპრილის N2 ოქმის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების'' ქვეპროგრამის ფარგლებში, გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დირექტორის, დავით ჩხობაძის მიერ წარმოდგენილ პროექტი - „ოჯახების გაძლიერება პროფესიული უნარების გაუმჯობესების გზით” და მისი დაფინანსება განახორციელოს უფლებამოსილმა სამსახურმა განსაზღვრული ოდენობით.

2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სოციალურ საკითხთა სამსახურს (ვ.გობეჯიშვილი) უზრუნველყოს ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების'' ქვეპროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოამზადოს და წარმოადგინოს შესაბამისი მემორანდუმის პროექტი ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრთან“ გაფორმების მიზნით.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქ. N 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)